ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა



WWW.EXPERTIZA.GOV.GE

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5000303913 01.02.2013

5000303913

შპს „ახალი ოფისი“-ს წარმომადგენელს ბნ სანდრო კახნიაშვილს

(თბილისი თევდორე მღვდლის ქ. N 15)

ბატონო სანდრო, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი 2013 წლის 21 იანვრის მომართვის (ბიუროს რეგისტრაციის N1000237913) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N000296513 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა - 07 ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ხიზანიშვილი
ბიუროს უფროსი

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia
ქუთაისი 4600, მესხის ქ. №5
5 Meskhi str. Kutaisi 4600., Georgia
ბათუმი 6000, პუშკინის ქ. №145
(995 32) 225 84 84
(995 32) 229 05 24
info@forensics.ge
(995 431) 21 30 03
info@forensics.ge
(995 422) 27 94 30
WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

000296513

ექსპერტის დასკვნა № 000296513

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

ორგანიზაცია: შპს ,,ახალი ოფისი"

თანამდებობა: წარმომადგენელი

მისამართი: თბილისი თევდორე მღვდლის ქ. N 15

სახელი და გვარი: სანდრო კახნიაშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

თეიმურაზ მუხაძე / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 50 წლის სტაჟით

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

1. გთხოვთ მაცნობოთ კომპანიის საკუთრებაში არსებულ ფართში, მდებარე რესპუბლიკის მოედანი, მიწისქვეშა კომპლექსში შესაძლებელია თუ არა -1;-2 დონეებზე სადემონტაჟო სამუშაოების წარმართვა ღია სივრცეების მოწყობის მიზნით (სადაც შემდგომში უნდა განთავსდეს ლიფტი და კიბეები). (თანდართულ აზომვით ნახაზებზე აღნიშნული სადემონტაჟო ტერიტორია დაშტრიხულია იხ. ნახაზები) და აღნიშნული სადემონტაჟო სამუშაოები (მდგრადობის თვალსაზრისით) საშიშროებას ხომ არ შეუქმნის კონსტრუქციას და მის მდგრადობას.

2. გთხოვთ მაცნობოთ კომპანიის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების ღიობის გადახურვის შემთხვევაში (გადასახურ ღიობი იხ. თანდართულ საბუთებში) ვინტილაციის თვალსაზრისით არსებითად ხომ არ გააუარესებს აღნიშნული ქონების ქვევით -1; -2 დონეებზე არსებული ფართების ვენტილაციას.

შემოსვლის თარიღი: 21.01.2013წ

გასვლის თარიღი: 01.02.2013წ

დასკვნა

1. ქ. თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე მდებარე მიწისქვეშა კომპლექსში შპს „ალათი"-ს და „ახალი ოფისი"-ს საკუთრებაში არსებულ 148,36 მ² ფართში სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება დასაშვებია, რომელიც ითვალისწინებს -1 და -2 დონეებზე სართულშუა გადახურვის კონსტრუქციებისა და -3 დონეზე არსებული ტიხრების დემონტაჟს. აღნიშნული კონსტრუქციების დემონტაჟი უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს, როგორც სარეკონსტრუქციო უძრედის ისე მთლიანად ნაგებობის სიმტკიცისა და მდგრადობის პირობებზე. სარეკონსტრუქციო სამუშაოები უნდა შესრულდეს სპეციალურად დამუშავებული სამუშაოთა წარმოების პროექტით, უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნების დაცვით [1].

2. კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრედის ფართში ღიობზე დაშენებით გადახურვის მოწყობა არ აუარესებს -1 და -2 დონეებზე განთავსებული სათავსოების ვენტილაციის პირობებს.

000296513

ექსპერტის დასკვნა № 000296513

თეიმურაზ მუხამე

გამოკვლევა

2013 წლის 25, 26, და 30 იანვარს ვიზუალურად შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე მდებარე სამსართულიან მიწისქვეშა კომპლექსში შპს „ალათი"-ს და „ახალი ოფისი"-ს საკუთრებაში არსებულ 148,36 მ² ფართში სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების შესაძლებლობის საკითხი, რომელიც ითვალისწინებს დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ნახაზების მიხედვით -1 და -2 დონეებზე (სართულებზე) გადახურვის კონსტრუქციების დემონტაჟს და არსებულ ღიობზე დაშენებით გადახურვის მოწყობას. სარეკონსტრუქციო ფართი ფოტო 1-ზე მითითებულია ისრით.

რესპუბლიკის მოედანზე მრავალფუნქციური დანიშნულების მიწისქვეშა ნაგებობა აშენდა გასული საუკუნის 70 წლებში. ნაგებობის კონსტრუქციული სქემა გადაწყვეტილია ჩარჩოვანი კარკასის ვარიანტში (ფოტო.2). ლითონის სვეტებს შორის ბიჯი გრძივი მიმართულებით 15,07 მ შეადგენს, ხოლო განივი მიმართულებით 12 მ. -1 და -2 დონეებზე კარკასის რიგელები ფოლადისაა შედგენილი ორტესებრი კოჭებისაგან, ხოლო -3 დონის რიგელები რკინაბეტონისაა, კვეთით 100x60 სმ. -2 და -3 დონეებზე კარკასის უჯრედში განთავსებული სათავსოები ერთმანეთისაგან გამოყოფილია სილიკატური აგურით შესრულებული 12 სმ სისქის ტიხრებით.

კარკასის უჯრედში, სადაც გათვალისწინებულია რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩატარება, ნაგებობის ცენტრში, მთელ სიმაღლეზე მოწყობილია წრიული მოხაზულობის რ/ბ სვეტი მოქცეული ლითონის გარსაკრში და გარედან მიპირკეთებული კურსების ქვის ფილებით და რიყის ქვის წყობით (ფოტო.3).

შემოწმებით დადგინდა, რომ ნაგებობის გადახურვაზე, კარკასის ლითონის რიგელებზე, გრძივი მიმართულებით დამონტაჟებულია ანაკრები რკინაბეტონის წიბოვანი ფილები განკუთვნილი მიწისქვეშა საინჟინრო ნაგებობებისათვის (ფოტო 4), ხოლო -1 და -2 დონეებზე სართულშუა გადახურვის კონსტრუქციები შესრულებულია 60 სმ სისქის ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილების გამოყენებით (ფოტო 5). სარეკონსტრუქციო ზონაში -1 და -2 დონეებზე სართულშუა გადახურვა შესრულებულია ანაკრები ღრუტანიანი ფილებით და ცენტრალურ ნაწილში, არსებული სვეტის ფარგლებში მონოლითური რკინაბეტონის ფილის ჩანართით (ფოტო 6).

რესპუბლიკის მოედანზე არსებული მიწისქვეშა ნაგებობის გეგმარებითი გადაწყვეტის ერთ-ერთ თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ ნაგებობის განაპირა გრძივ კედლებს გააჩნიათ მრავლობითი ღია მონაკვეთები (ფოტო 7, ფოტო 8) და სახურავზე ორ ადგილას მოწყობილია ღიობები ფართით 172 მ² და 236 მ² (ფოტო 1).

შესრულებული გამოკვლევით მიღებული შედეგების მონაცემების ანალიზის საფუძველზე ექსპერტიზის წინაშე დასმულ კითხვებზე პასუხები შემდეგია:

1. ქ. თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე მდებარე მიწისქვეშა კომპლექსში შპს „ალათი"-ს და „ახალი ოფისი"-ს საკუთრებაში არსებულ 148,36 მ² ფართში სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება დასაშვებია, რომელიც ითვალისწინებს -1 და -2 დონეებზე სართულშუა გადახურვის კონსტრუქციებისა და -3 დონეზე არსებული ტიხრების დემონტაჟს. აღნიშნული კონსტრუქციების დემონტაჟი უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს, როგორც სარეკონსტრუქციო უჯრედის ისე მთლიანად ნაგებობის სიმტკიცისა და მდგრადობის პირობებზე. სარეკონსტრუქციო სამუშაოები უნდა შესრულდეს სპეციალურად დამუშავებული სამუშაოთა წარმოების პროექტით, უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნების დაცვით [1].

2. კომპანიის საკუთრებაში არსებული უჯრედის ფართში ღიობზე დაშენებით გადახურვის მოწყობა არ აუარესებს -1 და -2 დონეებზე განთავსებული სათავსოების ვენტილაციის პირობებს.

თეიმურაზ მუხამე

გამოყენებული მასალები

1.СниП. III-4-80. (Техника безопасности строительства)

000296513

ექსპერტის დასკვნა № 000296513

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი




ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია



ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8